№462 2012 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

„დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 თებერვლის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 თებერვლის №18 დადგენილებაში (სსმ, 11.02.2008 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ დებულებისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად, აპარატში დგინდება შემდეგი თანამდებობები:

ა) სახელმწიფო მინისტრი;

ბ) სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე;

გ) სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

დ) დეპარტამენტის უფროსი;

ე) ფინანსური მენეჯერი;

ვ) სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი;

ზ) სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე;

თ) პრესსპიკერი (მთავარი სპეციალისტი);

ი) მთავარი სპეციალისტი;

კ) სპეციალისტი.“.

2. დადგენილების დანართი – დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დიასპორის საკითხებში

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის

საშტატო ნუსხა

№	თანამდებობა	რაოდენობა
1	სახელმწიფო მინისტრი	1
2	სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე	1
3	სახელმწიფო მინისტრის მოადგილე	1
4	დეპარტამენტის უფროსი	3
5	ფინანსური მენეჯერი	1
6	სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი	4
7	სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე	1
8	პრესსპიკერი (მთავარი სპეციალისტი)	1
9	მთავარი სპეციალისტი	4
10	სპეციალისტი	3
	სულ:	**20**“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**